საქმე № 330210019002807295
საქმე N2ბ/9255-2019

თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

29 იანვარი, 2020 წელი **ქალაქი თბილისი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა
მოსამართლე - გელა ქირია

სხდომის მდივანი - მარინე თათრიაშვილი

აპელანტი (მოსარჩელე) **-** ვ------- შ----------ი
წარმომადგენელი - მ----------

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - შპს ,,დ---------– +”
დირექტორი - ამ----- გო---------ი
წარმომადგენელი - დ----------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ

დავის საგანი - სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. ვ------- შ----------მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს ,,დ---------– +”-ის მიმართ და

მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 46 000 ლარის ოდენობით.

2. ვ------- შ----------მა სარჩელი შემდეგ გარემოებებზე დააფუძნა:

2.1. მოსარჩელის მითითებით, იგი 2000 წლის 1 მაისიდან - 2008 წლის 1 იანვრამდე მუშაობდა შპს ,,დ---------- +''-ის ბრიგადირად. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელის შრომით ფუნქციებში შედიოდა ობიექტის მეთვალყურეობა, მისი დაცვა და მშენებლობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობაზე ზედამხედველობა.

2.2. შპს ,,დ---------- +''-ის სახელფასო დავალიანება ვ------- შ----------ის მიმართ შეადგენს 46 000 ლარს. სახელფასო დავალიანების გადახდის მოთხოვნით არაერთხელ მიმართა შპს ,,დ---------- +''. კომპანიის დირექტორი დათანხმდა სახელფასო დავალიანების გადახდაზე, თუმცა არასაკმარისი თანხების გამო, ვერ გადაუხადა დავალიანება.

2.3. შპს ,,დ---------- +''-ის დირექტორმა ბიჭიკო ქართველიშვილმა აღიარა ვახტან შ----------ის მიმართ 46 000 ლარის სახელფასო დავალიანების არსებობა და მისცა თანხმობა, რომ აღნიშნული დავალიანება სრულად იქნებოდა დაფარული, რაც არ განხორციელდა.

3. მოპასუხე ,,დ---------- +''-მა წარადგინა, როგორც მოთხოვნის გამომრიცხველი ისე, განხორციელების მუდმივად შემაფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა). მოპასუხემ უარყო მხარეთა შორის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა და განმარტა, რომ მოსარჩელე ვ------- შ----------ი არასდროს არ მუშაობდა შპს ,,დ---------- +''-ში და ამიტომ არც არავითარი დავალიანება მის მიმართ კომპანიას არ გააჩნია. მოპასუხის შეფასებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არის წერილი და არა ცნობა, რომლითაც აღიარებულია შპს ,,დიდგორი +''-ის და არა შპს ,,დ---------- +''-ის დავალიანება, ამასთან ეს წერილი სავარაუდოდ დაწერილია მოგვიანებით და მითითებული აქვს ძველი თარიღი. წერილის ავტორი ბ. ქართლოსიშვილი ამგვარი თაღლითური ქმედებებისათვის გარიცხულია პარტნიორობიდან. მოპასუხის განმარტებით, საეჭვოა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვითომდა 7 წელზე მეტი იმუშავა უხელფასოდ, მით უფრო სსიპ შემოსავლების სამსახურში არ არის დაფიქსირებული მისი დარიცხული ხელფასები.

3.1. ასევე, მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოთხოვნა არა მხოლოდ უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, არამედ ხანდაზმულიცაა აღიარების (2013 წელი) მომენტიდანაც კი, ვინაიდან გასულია 3 წელზე მეტი დრო.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019

წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვახტან შ----------ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4.1. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვ------- შ----------ი 01.05.2000 წლიდან - 01.01.2008 წლამდე პერიოდში შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან. სასამართლოს განმარტებით, სადავო შრომითი ურთიერთობის პერიოდში მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლით შრომის ხელშეკრულება განიმარტებოდა, როგორც შეთანხმება საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე - საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტარცია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე - მუშაკი ვალდებულებას იღებს შეასრულოს გარკვეული სამუშაო, სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს. ამავე კოდექსის 19.3 მუხლით შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება არ იყო გაცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტიურად დაშვებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უფლება აქვს.

4.2. სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში არსებობდა თუ არა მხარეთა შორის შრომით სამართლებრივი ურთიერთობა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. მან უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხესთან იმყოფებოდა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში. ამის დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილია მოპასუხე საწარმოს ყოფილი დირექტორის წერილები, რომლითაც იგი ადასტურებს მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების არსებობას სადავო პერიოდში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაადასტურა შრომით ურთიერთობაში ყოფნის შესახებ ფაქტობრივი გარემოება.

4.3. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადასტურების შემდეგ უკვე მოპასუხეზე გადადის მტკიცების ტვირთი და მან უნდა ამტკიცოს დაფარული აქვს თუ არა სახელფასო დავალიანება სრულად. შპს ,,დ---------- +"-ის დირექტორის ბიჭიკო ქართლოსიშვილის 25.07.2013 წლის წერილში დაშვებულია მექანიკური შეცდომა. კერძოდ, ნაცვლად შპს ,,დ---------- +"-სა მითითებულია შპს ,,დიდგორი +".

4.4. სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე, ეხება რა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სახელფასო ანაზღაურების საკითხებს,

სწორედ მოპასუხის მხარეს გადადის მტკიცების ტვირთი. დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ თითოეულ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა, ყოველი შრომის ანაზღაურების გაცემა, შრომითი ურთიერთობის დაწყება, შეჩერება თუ დასრულება ასახოს ისე, რომ დავის შემთხვევაში ნათელი და არაორაზროვანი მტკიცებულება წარმოადგინოს სამართალწარმოებაში, რომლებიც გასაგებად წარმოაჩენენ იმ სინქრონსა და სურათს, რომლითაც სათანადოდ დადგინდება განვითარებული მოვლენები.

4.5. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ წერილში საწარმოს დირექტორი ბიჭიკო ქართლოსიშვილი უთითებს შპს ,,დიდგორი +''-ის სახელფასო დავალიანებაზე მოსარჩელის მიმართ, მოპასუხეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება რომელიც დაადასტურებდა მის პოზიციას, რომ შპს ,,დიდგორი +'' მართლაც იყო რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში და მის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა ბიჭიკო ქართლოსიშვილი. აღნიშნულის გარდა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 25.07.2013 წერილი შესრულებულია მოპასუხის ბლანკზე, ხელმოწერილია მოპასუხის დირექტორის მიერ და დასმული აქვს მოპასუხის ბეჭედი, ამასთან აღნიშნული წერილი წარმოადგენს მოსარჩელის 15.07.2013 წლის მიმართვაზე პასუხს, რომლის ადრესატიც მოპასუხის იმჟამინდელი დირექტორია**.** შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილის ტექსტში სახეზეა მექანიკური შეცდომა და წერილში აღნიშნულია იმ სახელფასო დავალიანების არსებობის თაობაზე, რომელიც მოსარჩელის წინაშე გააჩნდა მოპასუხე შპს ,,დ--------– +''-ს.

4.6. სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე შპს ,,დ-------– +''-ს მოსარჩელე ვ------- შ-----–---ის წინაშე ვალის აღიარება არ განუხორციელებია. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლზე და განმარტა, რომ იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

4.7. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალის აღიარება, თავისი შინაარსით ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს, რადგან იგი მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. თუმცა, აღნიშნული ინსტიტუტი მიმართულია არა ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულების წარმოშობისაკენ, არამედ ადასტურებს ვალის ამღიარებლის მოვალეობას, <u>შეასრულოს</u> უკვე არსებული ვალი. დაუშვებელია, რომ ვალის აღიარება

ატარებდეს აბსტრაქტულ ხასიათს, ამიტომ იგი უნდა განხორციელდეს არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. ზემოთ მითითებული დებულების პირველი წინადადება, სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს. გარდა ამისა, პირის მიერ ნების გამოვლენის ვალის აღიარებად მიჩნევისათვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს რიგ კრიტერიუმებს. პირველი, ნების გამოვლენიდან ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ ვალის ამღიარებელს გააჩნია კრედიტორის ვალი. ასეთი ნების გამოვლენა ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითებდეს ვალის არსებობაზე. წერილობითი ფორმით არსებული დოკუმენტით გარკვევით უნდა იკითხებოდეს ვალდებულების არსი, მოცემულ შემთხვევაში - გადასახდელი თანხის ოდენობა. ამგვარი ტიპის ხელწერილში, დაუშვებელია ისეთი ფრაზების მითითება, რომლებიც ბუნდოვანს ან გაურკვეველს გახდის მის შინაარსს. ამდენად, ასეთ შემთხვევაში, ყოველი ეჭვი უნდა გადაწყდეს მოვალის სასარგებლოდ. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, იგი მოიცავს ამღიარებლის მზადყოფნას, შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება დადგენილ დროში. ამგვარი დათქმა, თავისთავად, არ გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ვალდებული პირი შებოჭილია კონკრეტული თარიღით, არამედ ის შეიძლება ასევე რაიმე მოვლენას უკავშირდებოდეს. მთავარია, რომ მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული მოვალის მიერ განსაზღვრულ ვადებში ვალდებულების შესრულების სურვილი და რაც არსებითი და მნიშვნელოვანია ვალის აღიარება, როგორც გარიგება, უნდა იყოს მხარის უშუალო ნების გამოხატულება და მისი დამოუკიდებელი მოქმედების შედეგი - ხელწერილი თუ ობიექტურად არსებული დოკუმენტი უნდა იყოს შედგენილი და უნდა ასახავდეს მხარის სურვილს, დამოუკიდებელ ნებას, შეასრულოს არსებული ვალდებულება.

4.8. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი 25.07.2013 წლის და 15.08.2013 წლის **წერილები ვერ ჩაითვლება ამგვარ ვალის აღიარებად, ვინაიდან არცერთ მათგანში არ არის გამოხატული ნება დავალიანების ზოგადად ან კონკრეტულ ვადაში დაფარვის თაობაზე. შესაბამისად ამ წერილებით შესაძლოა დადასტურდეს მხოლოდ სახელფასო დავალიანების არსებობის ფაქტი და არა დავალიანების აღიარება.**

4.9. სასამართლომ სარჩელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრების შესახებ მიიჩნია ხანდაზმულად და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს მხარის თავისუფლება, მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენაში, კერძოდ, მხარე აღჭურვილია უფლებით, თავადვე განსაზღვროს თუ რა ფაქტებითა და მტკიცებულებებით დაადასტუროს მისი მოთხოვნა, მან საკუთარი შეხედულებით, დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს და

გადაწყვიტოს თუ რა ფაქტობრივი საფუძვლის მითითებით გაამყაროს მისი მოთხოვნის მართებულობა. ამ მხრივ მხარეს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, მიუთითოს ნებისმიერ ფაქტსა თუ მოვლენაზე, რაც მისი აზრით ადასტურებს მისი მოთხოვნის კანონიერებას. საქმის განხილვასა და მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებაში სასამართლოს აქვს აბსოლუტური შესაძლებლობა, განსაზღვროს მტკიცებულებათა შესაბამისობა-განკუთვნადობის საკითხი, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტით უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად მართებულად და დასაბუთებულად აყენებს მხარე ამა თუ იმ მოთხოვნას. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

4.10. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელე სარჩელით ითხოვს 01.05.2000 - 31.12.2007 წლის პერიოდის სახელფასო ანაზღაურებას საერთო ჯამში 46 000 ლარის ოდენობით, თვეში დასაბეგრი 500 ლარის თვეების რაოდენობაზე გადაანგარიშებით. წინამდებარე სარჩელი აღძრულია 24.09.2018 წელს. სასამართლომ მიუთითა, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლზე და განმარტა, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ცალკეულ შემთხვევებში, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

4.11. სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მოთხოვნაა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რომელიც ყოველთვიურად ერიცხებოდა მოსარჩელეს, წარმოადგენს პერიოდულად (ყოველთვიურად) შესასრულებელ ვალდებულებას, აღნიშნულ მოთხოვნაზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სასამართლომ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.

4.12. სასამართლომ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, რომელიც ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის

მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო, ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.

4.13. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტს უკავშირებს მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად ათვლისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტის დადგენა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ითხოვს 01.05.2000 - 31.12.2007 წლის პერიოდის ყოველთვიურ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას. შესაბამისად, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ წარმოეშვა და სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო თითოეული თვის ხელფასის გაცემის ვალდებულების წარმოშობიდან ცალ - ცალკე. თავის მხრივ, 2000 – 2007 წლების შრომის ანაზღაურების მოთხოვნისათვის ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა გავიდა თითოეული თვის ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოვალის მიერ ვალდებულების ყოველი დარღვევიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ყველაზე გვიან 2011 წლის იანვრი. მოსარჩელის მიერ სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2018 წელის 24 სექტემბერს, ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან 8 წლის შემდეგ, რის გამოც სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ------- შ---------–მა, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტმა ასევე სადავოდ გახადა 2019 წლის 16 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

6. სააპელაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

6.1. აპელანტის პრეტენზიები ძირითადად მიმართულია 2019 წლის 16 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების უსაფუძვლობაზე. აპელანტი მიუთითებს, რომ განჩინება შეიცავს არასრულ და მცდარ ინფორმაციას. კერძოდ, მოპასუხე და მისი ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ საქალაქო სასამართლოდან გასულ კონვერტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა

სასამართლოს ლოგო და ბეჭედი, მოცემულ შემთხვევაში კი მათ მიიღეს საქართველოს ფოსტის კონვერტი, რომელსაც არ ჰქონდა არც ლოგო და არც ბეჭედი. მოსარჩელე მხარემ კი განმარტა, რომ მას საქალაქო სასამართლოში მისცეს საქართველოს ფოსტის კონვერტი, მასზე საქალაქო სასამართლოს ლოგო ბუნებრივია ვერ იქნებოდა, ხოლო რაც შეეხება ბეჭედს, ამაზე ყურადღება არ მიუქცევიათ, ბეჭედის ქონა-არქონა სასამართლოს კანცელარიის კომპეტენცია და პასუხისმგებლობაა. ამასთან, აპელანტმა აღნიშნა, რომ ის არ ადასტურებს იმას, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი კონვერტი, სწორედ ის კონვერტია, რაც ა. გო---------ს გაეგზავნა და განმარტა, რომ მისთვის უცნობია რა კონვერტი წარადგინა მოპასუხე მხარემ სასამართლოში.

6.2. გზავნილის არასრულ ჩაბარებასთან მიმართებით აპელანტმა აღნიშნა, რომ მოპასუხე ვერ ადასტურებს გარემოებას, რომ მას არ ჩაბარებია სრულად სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება გარემოება, რომ მას ჩაბარდა მხოლოდ სამი ფურცელი, ნაცვლად სარჩელისა. კერძოდ, აღნიშნულის დასადასტურებლად მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა შპს ,,საქართველოს ფოსტის'' საფოსტო კონვერტი, რომელიც არ არის დამოწმებული სასამართლოს კანცელარიის ბეჭდით და რომლზეც ფოსტის კურიერი ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან ჩააბარა აღნიშნული კონვერტი ადრესატს მოპასუხის მისამართზე 2018 წლის 1 ნოემბერს (ს.ფ. 101); ასევე წარადგინა შპს ,,სმარტ ექპრესის'' მიერ გაცემული ინფორმაციის ფურცელი, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1 ნოემბერს შპს,,დ---------– +''-ის დირექტორს ამ----- გო---------ს ჩაბარდა გზავნილი ზედნადების ნომრით 33564 (ს.ფ. 122) და შპს ,,სმარტ ექსპრესის'' მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც 2018 წლის 1 ნოემბერს მოპასუხეს ჩაბარდა ერთი წერილი (ს.ფ. 56). აღნიშნულთან დაკავშირებით აპელანტმა განმარტა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იყიდოს კონვერტი, ზედ არც გამგზავნი და არც მიმღები არ დააწეროს, ხელით გააკეთოს მინაწერი კონვერტის პირველ გვერდზე, რომ გზავნილი ჩააბარა ფოსტის კურიერმა და უბრალოდ თქვას, რომ ეს მინაწერი ,,სმარტ ექსპრესის'' კურიერმა გააკეთა და ზუსტად იმ კონვერტზეა, რომელიც მას ჩაბარდა. აპელანტის მითითებით, მოპასუხეს ზეპირი განმარტების გარდა არავითარი მტკიცებულება არ მოუშველიებია, მას არც კურიერის დაკითხვა მიუთხოვია, რათა დაემტკიცებინა, რომ მართლაც შპს ,,სმარტ ექსპრესის'' კურიერმა გააკეთა მინაწერი, ასევე, არც რაიმე ფორმით დაუმტკიცებია, რომ ეს ზუსტად ის კონვერტი იყო, რომელიც მას მოსარჩელემ გაუგზავნა. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია საფოსო გზავნილი და ჩაბარების დასტური (დედნები), რომელზეც ეწერა გამგზავნიც, მიმღებიც და გზავნილის ტიპიც - სარჩელი, შესაბამისად მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა კურიერის ხელმოწერის ნამდვილობა და კონვერტის იდენტობა.

6.3. აპელანტმა ყურადღება გაამახვილა ამ----- გო---------–ის განმარტებაზე, რომ მან გზავნილის მიღების შესახებ აცნობა თავის ადვოკატს, რომლისგან მიიღო განმარტება, რომ მოთხოვნა ხანდაზმული იყო და არ მიექცია ყურდღება. შესაბამისად, აპელანტის განმარტებით, ნათელია, რომ მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები.

6.4. აპელანტმა დამატებით მიუთითა, რომ მოპასუხეს შპს ,,სმარტ ექსპრესით" გაუზავნა სარჩელი თანდართული მტკიცებულებებით 30.10.2018 წელს. ფოსტის ზედნადები იყო #34940. გზავნილი პირადად შპს ,,დ--------– +"-ის დირექტორმა ა. გო---------–მა ჩაიბარა 01.11.2018 წელს, გზავნილის ჩაბარება მან ხელმოწერით დაადასტურა. სწორედ ამ დოკუმენტზე, რომელსაც ხელი მოაწერა ა. გო---------–მა მარცხენა მაღლა კუთხეში (გზავნილის სახეობა) ეწერა, რომ გზავნილი იყო სარჩელი.

6.5. აპელანტმა ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მიღებული გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

7. სააპელაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რამეთუ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოშობს აპელანტის მტკიცების გაზიარების საფუძველს სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასთან მიმართებით. კერძოდ, პალატა სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ ნაწილში, დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

7.1. შპს ,,დ---------– +"-ს 2013 წლის 25 ივლისიდან - 15 აგვისტომდე დირექტორობდა ბიჭიკო ქართლოსიშვილი, რომლის მიერაც 2013 წლის 25 ივლისს გაცემულია ცნობა მოსარჩელე ვ------- შ----------–ის სასარგებლოდ და დადასტურებულია კომპანიის დავალიანება მოსარჩელის მიმართ 46 000 ლარის ოდენობით, რაც ამავე დოკუმენტზე დაყრდნობით წარმოშობილია 2000 წლის 1 მაისიდან - 2007 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

7.2. ხსენებული დოკუმენტის საფუძველზე დასტურდება, რომ ვ------- შ----------–ი 2000 წლის 1 მაისიდან - 2008 წლის 1 იანვრამდე დასაქმებული იყო შპს ,,დ---------– +"-ში და მისი ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება შეადგენდა 500 ლარს, რომელიც დასაქმებულს მუშაობის მანძილზე არ მიუღია.

8. პალატა სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს

განმარტებას, რომ კომპანიის მოქმედი დირექტორის მიერ გაცემული ცნობა ადასტურებს ვალდებულების არსებობას და აღნიშნულ გარემოებას ვერ გამორიცხავს ტექნიკური ხარვეზის სახით შპს ,,დ---------– +’’-ის ნაცვლად შპს ,,დიდგორი +’’-ის მითითება, მით უფრო იმ პირობებში, რომ ვ------- შ----–----მა მიმართვა განახორციელა სწორედ შპს ,,დ---------– +’’-ის მიმართ და ცნობაც გაცემულია, როგორც შპს ,,დ---------– +’’-ის დირექტორის მიერ, ასევე დოკუმენტი გაცემულია მოპასუხე კომპანიის ბლანკზე შესრულებით, რაც ერთობლიობაში ადასტურებს ვალის არსებობას.

9. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება და განმარტება მისცა შპს ,,დ---------– +’’-ის დირექტორის 2013 წლის 25 ივლისის წერილობით დადასტურებას, რომლის შესაბამისადაც მითითებული დოკუმენტი არ იქნა მიჩნეული ვალის აღიარების ხელშეკრულებად.

10. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას. მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკისა და განმარტების შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მტკიცებას 25.07.2013წ. ვალდებულების წერილობით დადასტურების ვალის აღიარების ხელშეკრულებად მიჩნევის თაობაზე და ამ საფუძვლით არ გამორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულობას. არსებულ ვითარებაში, პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს ვალის არსებობის აღიარების სამართლებრივი ბუნება და ის ელემენტები, რომელთა კუმულატიური არსებობა განაპირობებს ამა თუ იმ დოკუმენტის მიჩნევას ვალის აღიარების ხელშეკრულებებად. სკ-ს 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა, ამდენად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი სკ-ს 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. **ნებისმიერი დოკუმენტი, ან მხარეებს შორის განხორციელებული მიმოწერა, სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, თუ არ ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (ვალის დაფარვის წესი, ვადა და ა.შ.). ვალის აღიარებად ხელშეკრულების შეფასება, თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, ინდივიდუალურია და ერთმნიშვნელოვნად, ხელშეკრულების შინაარსიდან უნდა**

მომდინარეობდეს, კერძოდ ვალის არსებობის ხელშეკრულებით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. უნდა არსებობდეს ისეთი წინაპირობები, რომლებიც მიუთითებენ მომავალში კონკრეტულ შემთხვევაში უკვე არსებული სამართალურთიერთობის მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე. განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილი წერილობითი პასუხი ვერ მიიჩნევა ვალის აღიარებად, რამეთუ აღნიშნული მიწერილობით მართალია დადასტურებულია ვალდებულების არსებობა, თუმცა არ არის ნაკისრი მისი შესრულება. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს მიწერილობის ფარგლებშიდაც კომპანიის იმჟამინდელი დირექტორის მიერ განმარტებულია, რომ ორგანიზაციას არ გააჩნია ფინანსური სახსრები ვალდებულების დასაფარავად. პალატა აქვე მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სადავო დოკუმენტები განიხილებოდა ვალის არსებობის აღიარებად, მოთხოვნა ფულადი ვალდებულების შესრულენასთან მიმართებით მაინც ხანდაზმულად განიხილება, რადგანაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულება კომპანიის დირექტორის მხრიდან დადასტურებულია 2013 წელს, ხოლო სარჩელი აღძრულია 2018 წელს, მაშინ როდესაც თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მიწერილობებით დგინდება, რომ მის მიერ ვალდებულების შესრულება მოთხოვნილი იყო 2013 წელს, რაზეც მას უარი ეთქვა შესაბამისი სახსრების არ არსებობის გამო. ამდენად, გაუგებარია, თუ რაზე დაყრდნობით მიუთითებს აპელანტი, რომ მისი მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, თუნდაც ვალის არსებობის აღიარების ნამდვილობის პირობებში.

11. მოცემულ შემთხვევაში, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან და მოპასუხის მხრიდან წარმოდგენილია მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, მის ხანდაზმულობაზე მითითებით, პალატის შესაფასებელია მოთხოვნის წარმოშობისა და მისი განხორციელების სამართლებრივი ფარგლები, რამეთუ მოპასუხის მიერ ხანდაზმულობის ფაქტზე მითითება, ამ უკანასკნელის საპროცესო თავდაცვის იმდენად არსებითი სახეა, რომ მისი დამტკიცების შემთხვევაში სარჩელის წარმატება ფერხდება (სსკ-ის 144.1 მუხლი).

12. საქართველოს შრომის კოდექსის 1.2 მუხლის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. წინამდებარე შემთხვევაში, ვინაიდან სახელფასო ანაზღაურება წარმოადგენს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სასარგებლოდ ყოველთვიურად შესასრულებელ ვალდებულებას, მასზე სსკ-ის 129.2 მუხლით გათვალისწინებული

რეგულაცია გავრცელდება, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

13. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1-ე მუხლი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე *(შდრ. სუსგ-ები №ას-1937-2018, 15 მარტი, 2019 წელი, პ-16; №ას-1343-1263-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი; №ას-934-899-2016, 14.02.17; №ას-68-68-2018, 03.04.2018წ. და ა.შ.).*

14. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ 2018 წელს მიმართა სასამართლოს და სასარჩელო წარმოება დამსაქმებლის წინააღმდეგ, 2000 წლის 1 მაისიდან - 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით დაიწყო. ამდენად, ცხადია, რომ მოსარჩელემ თავისი სამოქალაქო უფლება კანონით დაცულ ვადაში არ განახორციელა.

15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან, გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა

იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც, შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პარ.51). ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N2/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ,,ისრაელის მოქალაქეები - თ. ჯ., ნ.ჯ. და ი.ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ, ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობა გაიზიარა და განმარტა: სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან *(იხ. სუსგ, საქმე Nას-566-2019, 28.06.2019წ.).*

16. ზემოთ მოხმობილი განმარტების ნათელ მაგალითად შესაძლოა მიჩნეული იქნეს განსახილველი საქმეც, რამდენადაც მოპასუხის მხრიდან სადავო გახდა თავად შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომლის დადასტურებაც სასამართლომ შეძლო მხოლოდ 2013 წლის 25 ივლისის წერილის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სადავოდ იყო გამხდარი მოპასუხის მიერ.

17. ამდენად, პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით, რაც გამორიცხავს ვ------- შ----------ის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

18. რაც შეეხება, 2016 წლის 16 იანვრის განჩინებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, პალატის შეფასებით, აღნიშნულ

ნაწილშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე მართებულად განხორციელდა მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, რამდენადაც სახეზე იყო სათანადო პროცესუალური წინამძღვრები.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ კოდექსის 232[1] მუხლის შესაბამისად (შესაგებლის წარმოუდგენლობა) გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით, რომ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხეს აღუდგენს პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას. ამდენად, მოხმობილი ნორმის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხის მხრიდან პასუხის წარუდგენლობა განხორციელდა საპატიო მიზეზით სასამართლო აუქმებს მის მიერვე მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოსადგენად დამატებით მიცემულ დროსთან ერთად ანახლებს საქმის წარმოებას, მისი არსებითი განხილვის მიზნით.

20. პალატის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში სარჩელისა და თანდართული მასალების ჯეროვნად ჩაბარების მტკიცების ვალდებულება ეკისრებოდა მოსარჩელე მხარეს, რისი დადასტურების შემდგომაც მითითებული გარემოების გაბათილების ვალდებულება დაეკისრებოდა მოწინააღმდეგე მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ საჩივრის ფარგლებში უარყოფილი იქნა სარჩელის ჩაბარება, აღნიშნულის საპირისპიროდ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო დაესაბუთებინა, რომ მისი მხრიდან დადგენილი წესით განხორციელდა გზავნილის ადრესატისათვის გაგზავნა და ჩაბარება, მხოლოდ მითითება, რომ უკუგზავნილზე აღნიშნული იყო სარჩელი ვერ დაადასტურებს კონვერტში სარჩელის არსებობას, რადგან არ დასტურდება, რომ თავად კონვერტზე მითითებული იყო მხარეთა რეკვიზიტები, სასამართლო ბეჭედი ან სიმბოლო, რასაც შესაძლოა ადრესატისათვის შეექმნა მოლოდინი, რომ გზავნილი იყო სასამართლოდან. პალატა განმარტავს, რომ სასამართლო გზავნილის სათანადო რეკვიზიტებით აღჭურვა და მასზე შესაბამისი ბეჭდის ასახვა ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომ სამომავლოდ გამოირიცხოს მისი ადრესატის მხრიდან მითითება გზავნილის არასრულად ჩაბარებასთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში კი, მითითებული რეკვიზიტების გარეშე შეფუთული კონვერტით გზავნილის ჩაბარების პირობებში სადავოა თავად ამ გზავნილში სარჩელის არსებობის ფაქტი, რის გამოც სარჩელის ცალსახად ჩაბარების დადასტურება მხოლოდ უკუგზავნილზე ხელმოწერით ვერ დადასტურდება და შესაბამისად გაუმართლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, მაშინ როდესაც კანონით დადგენილი წესით არ დასტურდება სარჩელისა და თანდართული

დოკუმენტების ჩაბარება და ამავდროულად მხარის მიერ წარმოდგენილი საჩივრით იკვეთება დავის არსებითი განხილვის მიმართ ინტერესი.

21. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. ჯ-ა საქართველოს წინააღმდეგ, N7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).* მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის იმ არგუმენტებზე, რომლებსაც საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, პალატამ ზემოთ უკვე იმსჯელა და დამატებითი არგუმენტების შეფასება მიზანშეუწონელია სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნებიდან გამომდინარე.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

22.1. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის გასაჩივრებულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

22.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

22.3. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ წინამდებარე საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ ნაწილში არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს

შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითებს მათზე.

23. ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ'' საქართველოს კანონის 5.1 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ------- შ----------ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება და 2019 წლის 16 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე;

3. აპელანტი გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯებისაგან.

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით;

5. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს მე-20 და არა უგვიანეს 30-ე დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე **გელა ქირია**